შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (9.675)

28 მარტი-4 აპრილი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის საერთო კრებები დასრულდა - პრიორიტეტები გამოვლენილია

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს წელს 443 529 ლარი გამოეყო. პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სოფლის საერთო კრებები ჩატარდა. პროგრამით განსაზღვრული მიმართულებები ადმინისტრაციულ ერთეულებშიმცხოვრებ მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა სოფლების ხელმძღვანელებთან ერთად გააცნეს.

სოფლის კრებებზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსა და მოსახლეობას შორის უშუალო დიალოგი გაიმართა, სადაც ხალხმა როგორც ინფრასტრუქტურულ სფეროში არსებულ, ასევე სოციალურ ასპექტებსა და პირად პრობლემებზეც გამახვილა ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღება, საბოლოოდ კი მათ სოფლებში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად პრიორიტეტებიც გამოავლინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინფორმაციით, „არბოშიკის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, ამ პროგრამით გიგაანთ წყლის სათავე გასუფთავდება, სკოლის გაღმა უბანზე და სტადიონის ზემო უბანზე გარე განათება დამონტაჟდება, ხუტაანთ წყლის სათავე ნაგებობა გაიწმინდება და არტეზიული ჭის გარშემო ტერიტორია მოასფალტდება, კოტაანთ უბანზე ღვარსაშვები არხები გაიწმინდება, ასევე სეფიაშვილების უბანზეც და წანწკლა წყალთან თხრილი გაკეთდება.

ზემო მაჩხაანის სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ 4 სასაფლაო შემოიღობება, სკოლასთან მისასვლელი გზა დაგრეიდერდება და დამონტაჟდება გარე განათება, საბავშო ბაღი შემოიღობება, სანიაღვრე არხები გაიწმინდება, რობიტაანთ, ჯამასპიანთ, იაკობიანთ უბნებზე გზები მოიხრეშება და გარე განათება გაკეთდება.

სოფელ მირზაანში სოფლის პროგრამით ორ სასაფლაოზე მისასვლელი გზის, ასევე რაჭველების სამი ქუჩის მოხრეშა განხორციელდება.

ოზაანში დაგეგმილია ბიბლიოთეკის შეკეთება, სოფლის ამბულატორიის წყალი თაობის უსაფრთხო გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით დაიგეგმა ორ უბანში ორი რეზერვუარის დამატება;

ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობის მიზნით მოხდება სპორტდარბაზის ნაწილობრივი რეაბილიტაცია“.

P.S. დედოფლისწყაროში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლის შესახებაც დაწვრილებით ინფორმაციას გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ინგა შიოლაშვილი

თანამედროვე სტანდარტების ბიბიოთეკა ჩვენს ხალხს

დედოფლისწყაროში მალე ახალი მუნიციპალური ცენტრალური ბიბლიოთეკა გაიხსნება, რომელიც ახალი ტექნოლოგიებით აღიჭურვება და თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამისთვის შენობა უკვე შერჩეულია და გაცხოველებული სამშენებლო სამუშაოებიც დაწყებულია. ახალი ბიბლიოთეკა ქალაქის ცენტრში, ყოფილი „სავაჭრო ცენტრის“ შენობაში განთავსდება, სადაც მთელი რიგი სამუშაოები მიმდინარეობს.

-„ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ აქვს, რომ იცოდეთ როგორ გაგვიხარდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ წლების მანძილზე ჩვენი სამსახური დადებითად ვეღარ პასუხობდა მკითხველის მოთხოვნებს, იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტებს, აბიტურიენტებს წყაროების მოსაკვლევად, ან მასალის დასამუშავებლად ჩვენი ფონდით სარგებლობა დასჭირვებია, ჩვენ ის წიგნი გვქონია, თუმცა ვერ დაგხმარებივართ იქიდან გამომდინარე, რომ არ ვიცოდით სად იყო ის წიგნი, მართალია, საკმაოდ გაგვიგრძელდა თოკით შეკრულ წიგნებთან თანაცხოვრების პერიოდი, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ლოდინი ამად ნამდვილად ღირდა, როგორც თითოეული ჩვენი თანამშრომლისთვის, ასევე მკითხველისთვისაც, რადგანაც მათ ძალიან ბევრი სიახლე და თანამედროვე ტექნოლოგიებით მომსახურება ელოდებათ მომავალში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მობრძანებისას.“-ამბობს ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი.

-„მოხარული ვართ კულტურის სამსახურის ყველა თანამშრომელი, რომ დაიწყო მუნიციპალური ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის, როგორც შენობის შერჩევა, ასევე მისი კეთილმოწყობა და მშენებლობა. ჩვენ, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად, გვაქვს დიდი სამზადისი ამასთან დაკავშირებით და ვაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ ეს პროცესი კარგად წარიმართოს. სულმოუთმენლად ველით, რომ ორი თვის მერე, ახალ და კომფორტულ შენობაში გადავა ბიბლიოთეკა. ამ სასიამოვნო საქმეს ხელშეწყობას და მონდომებას ნამდვილად არ ვაკლებთ!“- განაცხადა ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის მშენებლობას გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი უძღვება.

- ბატონო დავით, ვის მიერაა წარდგენილი აღნიშნული პროექტი, რა ოდენობის თანხებია განსაზღვრული ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობისთვის, ვის მიერაა დაფინანსებული აღნიშნული პროექტი და ხომ ვერ დაგვიკონკრეტებთ, რა ვადებში დასრულდება მისი მშენებლობა?!

- აღნიშნული პროექტი გახლავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი მიზნობრივი პროექტი, რომელიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

(გაგრძელება გვ.3)

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“....

გვ.5

კახა კალაძე - მოსახლეობას გაზის საფასური არც მაისიდან გაუძვირდება

გვ.2

კლიმატის დაცვა ადგილობრივ დონეზე

გვ.4

სიმალზე ქლიერი სიტყვა

გვ.6

C M Y K

საქართველოს ნატო-ში ახალი ელჩი ჰყავს

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას ნატო-სთან საქართველოს წარმომადგენლის ვაკანტურ თანამდებობაზე ალექსანდრე მაისურაძის დანიშვნის შესახებ. ამის შესახებ "ინტერპრეს-ნიუსს" საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი უფლებამოსილების შესრულებას 2015 წლის 1 მაისიდან შეუდგება.

ალექსანდრე მაისურაძის კანდიდატურა პრეზიდენტს მთავრობამ წარუდგინა. ალექსანდრე მაისურაძე გახლავთ კარიერული დიპლომატი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობს 1998 წლიდან. მათ შორის 2012 წლის თებერვლიდან დღემდე მუშაობს ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ. ალექსანდრე მაისურაძეს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იგი თავისუფლად ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

ნატო-სთან საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობა 2015 წლის 26 იანვრიდან ვაკანტურია. ეს თანამდებობა ლევან დოლიძემ დატოვა.

კახა კალაძე - მოსახლეობას გაზის საფასური არც მაისიდან გაუძვირდება

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის მტკიცებით, მოსახლეობას გაზის საფასური არც მაისიდან გაუძვირდება. ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

რაც შეეხებათ იურიდიულ პირებს, მინისტრის განმარტებით, რა ტარიფები დაწესდება მათ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. ''

"უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი, თუ რა ტარიფები იქნება კომერციულ სექტორთან მიმართებაში. რაც შეეხება მოსახლეობას, ამასთან დაკავშირებით არაერთხელ გავაკეთე განმარტება და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მათთვის გაზის ტარიფის გაზრდა არ იგეგმება", - აღნიშნა კალაძემ.

გაზის საფასური იურიდიული პირებისთვის 1-ელი მარტიდან გაძვირდა, თუმცა მთავრობის გადაწყვეტილებით, მაისამდე გაზისა და ნავთობის კორპორაციის მიერ დაახლოებით 15 მილიონი ლარის სუბსიდირება განხორციელდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სურსათის უვნებლობის კუთხით ჯარიმის გამკაცრებას გეგმავს

2015 წლის დასაწყისიდან დღემდე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ინსპექტირება 971 საწარმოში განახორციელა. აქედან საწარმოო პროცესი შეუჩერდა 12 ბიზნესოპერატორს, ხოლო 63 ოპერატორი დაჯარიმდა. სააგენტოს ინფორმაციით, გამოვლენილი კრიტიკულად შეუსაბამო დარღვევები ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშროებას წარმოადგენდა.

სააგენტოს ცნობით, სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტიანობისთვის საჯარიმო სანქცია სამართალდარღვევის ადეკვატური უნდა იყოს. რის გამოც, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრებას.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ წარმოებული სურსათი საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, იგი ვალდებულია, აღკვეთოს სურსათის სარეალიზაციო ქსელში მოხვედრა ან უზრუნველყოს სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი პირველ ჯერზე 1000 ლარით ჯარიმდება. ანალოგიური ქმედების განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა კვლავ 1000 ლარია.

ნოდარ ხადური - შიდა შოკები არ გვაქვს, გვაქვს პატარა შოკუნიები

შიდა შოკები არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს პატარა შოკუნიები, - ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა „პალიტრა TV"-ის გადაცემა „ბიზნეს-PRESS"-სთან, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე საუბრისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, "შოკუნიებს" წარმოადგენს ოპონენტების სურვილი, "საქართველო ცეცხლში გახვეული ნახოს".

ამასთან, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, შექმნილი ვითარება გარე ფაქტორებთან ერთად შიდა ფაქტორებითაც არის განპირობებული, რომელთა შორისაც უპირველესია ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის გადაჭარბებული მოლოდინები.

"თავისთავად ცხადია, არის პრობლემების ჯაჭვი და ერთგვარი დომინოს ეფექტი. რაც შეეხება უშუალოდ შიდა ფაქტორებს, დავიწყოთ იმით, რომ მოსახლეობის მოლოდინები იყო გაცილებით უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც ვერ მივიღეთ. გადაჭარბებული მოლოდინები ადამიანებს ყოველთვის აქვთ, უნდა ჰქონდეთ და ეს ძალიან კარგია. მსოფლიოს ეკონომიკურ მეცნიერებაში არის მთელი მიმდინარეობა, რომელიც მოლოდინებზეა აგებული და ხალხმა ამ მოლოდინების შესწავლაში ნობელის პრემიაც აიღო - ხშირ შემთხვევაში, როგორიცაა მოლოდინი, მომავალი პერიოდი არის ისეთივე, თუ რაიმე შოკები არ ხდება. შოკი შეიძლება იყოს როგორც გარე, ისე შიდა. გარე შოკებზე ბევრს არ მოვყვები, რაც შეეხება შიდა შოკებს, შიდა შოკები, მადლობა ღმერთს არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს პატარა შოკუნიები და ეს პატარა შოკუნიები არის სურვილი ჩვენი ოპონენტების, რომ ნახონ ცეცხლში გახვეული საქართველო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას, ეს არის ყველაფრის გაბაიბურების მცდელობა, ეს არის მოსახლეობაში ნიჰილიზმის დათესვის მცდელობა, ეს არის ადამიანებისთვის ხვალინდელი დღის იმედის დაკარგვის მცდელობა, რასაც ცდილობენ ჩვენი ოპონენტები — არც ჰქვიათ მათ ოპონენტები — ადამიანები, რომლებიც ჩამობღაუჭებულები არიან თავიანთ წარსულს. ეს არის მთავარი პრობლემა საქართველოს ეკონომიკის. როგორ ფიქრობთ ახლა, ვიღაცა რომ დაიწყებს საუბარს იდიოტურ იდეაზე, რომელსაც "იმპიჩმენტი" ჰქვია, ეს ბიზნესმენებს გაახარებს, გამოიქცევიან და აქ ინვესტიციებს ჩადებენ? ან რაღაც სცენარების გამეორებას რომ ვიღაცა ვიღაცას დაპირდება, ეს საქართველოსთვის კარგი იქნება? ამიტომ ვამბობ, ჩვენ კომპლექსურად უნდა შევხედოთ სიტუაციას", - აცხადებს ხადური.

სოფელ კისისხევში წარმოებული ღვინო მსოფლიოს 100 საუკეთესო ღვინოს შორის დასახელდა

თელავის რაიონის სოფელ კისისხევში „შუხმან ვაინს ჯორჯიას" მიერ ევროპულად წარმოებული 2013 წლის მოსავლის მწვანე მშრალი თეთრი ღვინო 100 საუკეთესო ღვინოს შორის მოხვდა, როგორც ერთადერთი ღვინო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან.

ღვინის დეგუსტავია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ჟურნალმა „USA Wines and Spirits Magazine" ჩაატარა. ქართულ ღვინოს 100—დან 90 ქულა მიენიჭა.

ჟურნალის ინფორმაციით, „შუხმან ვაინს ჯორჯიას" 2013 წლის მოსავლის მწვანე 12 თვის მანძილზე რეკომენდირებული იქნება ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ჟურნალის მიერ, სამხრაეთ საფრანგეთის, სამხრეთ იტალიის, უნგრეთის, არგენტინის, აღმოსავლეთ ევროპის, ჩილეს და ამერიკის ღვინეობს შორის.

„ღვინის ამ დონის აღიარება , უპიველეს ყოვლისა, მეტყველებს მის მაღალ ხარისხზე, და უნიკალურობაზე, რაც ჩვენის კომპანიის მთავარი კრედოა, გარდა ამისა, საერთაშორისო მომხამრებლისთვის ცნობადობის ამაღლებას უწყობს ხელს, უფრო მეტი ღვინის მომხმარებელი გაიგებს , თუ სად ხდება ამ ღვინის წარმეობა, აღმოსავლეთ ევროპის რომელ რეგიონში და მესამე, ის ხელს შეუწყობს ჩვენი პორდუქციის გაყიდვებს არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაში, რადგანაც აღნიშნული ჟურნალი პოპულარულია არა მხოლოდ აშშ -ში არამედ ევროპაშიც" — განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა ეკატერინე ჯავახიამ.

გერმანელმა ღვინის მოყვარული ბურკჰარდ შუხმანი საქართველოში 2008 წელს ჩამოვიდა. იგი სოფელ კისისხევში ვენახებს, ღვინის ქარხანასა და სასტუმროს ფლობს.

მინდია ჯანელიძე - ხელშეკრულება, რომელზეც ირაკლი ალასანია საუბრობს, ბუნებაში არ არსებობს

ხელშეკრულება, რომელზეც ირაკლი ალასანია საუბრობს, ბუნებაში არ არსებობს, - ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ განუცხადა.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი საფრანგეთში ვიზიტის დროს ალასანიასთან სატელეფონო საუბარს ადასტურებს, თუმცა განმარტავს, რომ საუბარი განზრახულობათა წერილზე ხელმოწერას შეეხებოდა.

"მსგავსი ხელშეკრულება ბუნებაში არ არსებობს. მე გთხოვთ ჟურნალისტებს, იქნებ დააზუსტოთ ბატონ ალასანიასთან, რას გულისხმობს, ამის მერე გავაკეთებ განცხადებას. ჭორაობის საგანი გახდა ე.წ. ხელშეკრულება, რომელიც არ არსებობს. სინამდვილეში საუბარია განზრახულობათა წერილზე, რომელზეც ხელმოწერა უკვე განხორციელებულია. ვფიქრობ, თუ რაიმე სხვა ხელშეკრულებას გულისხმობს ბატონი ალასანია, უნდა დააზუსტოს. როცა განცხადებას აკეთებს პოლიტიკური ფიგურა, საჭიროა მასში იყო მეტი სიცხადე და სიზუსტე. ეს განცხადება იყო არაზუსტი და არაკორექტული. სატელეფონო საუბარი ნამდვილად შედგა, მაგრამ ეს სატელეფონო საუბარი ეხებოდა იმას, რომ პროცედურები, რა პროცედურებიც საჭიროა საერთაშორისო შეთანხმებაზე ხელმოწერის დროს, ყოფილიყო დაცული. ეს იყო და ეს. არსებობს დადგენილი პროცედურები, რომლის გავლაც აუცილებელია, რომ მინისტრმა ხელი მოაწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საუბარი ეხებოდა განზრახულობათა წერილზე ხელმოწერას, რასთან მიმართებაშიც არ იყო პროცედურები სრულად დაცული იმისთვის, რომ ეს ხელმოწერა განხორციელებულიყო", - განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

თავდაცვის მინისტრის შეფასებით, არასწორია, როცა მთავრობის წევრებს შორის ტექნიკურ საკითხებზე საუბარი საჯარო დისკუსიის საგანი ხდება. "ეს არ არის სწორი, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეხება თავდაცვის სფეროს. მსგავსი საუბრები, დამიჯერეთ, ჩვენს ინტერესებში ნამდვილად არ შედის", - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ახალი სერვისი "112 გხედავთ" დაინერგა

112-ში დღეიდან ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის სმს და ვიდეოზარი ამოქმედდება. სერვისი უფასოა და განკუთვნილია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირებისთვის. დღეიდან ახალი სერვისი "112 გხედავთ" დაინერგა.

ახალი პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" მიმდინარეობს და ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე, 112-ის ხელმძღვანელი გიორგი ბიჭიაშვილი, თბილისის მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, გაეროს ელჩი საქართველოში ნილს სკოტი ესწრებიან.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს თალაკვაძემ განუცხადა, ახალი პროექტი სრულიად ხელმისაწვდომს ხდის 112-ის ყველა სერვისს ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის.

"ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები გრძნობდნენ, რომ 112 არის მათ გვერდით და მათაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ პოლიციას, სასწრაფო და სამედიცინო დახმარების მანქანებს, მაშველებს, მეხანძრეებს", - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისივე თქმით, ამ სერვისის დანერგვით ყველა ნახავს, რომ საქართველო და ამ შემთხვევაში 112 მიდის ევროპისკენ, როდესაც სოციალური ერთობის იდეა რეალურ ცხოვრებაში ხორციელდება.

საქართველოში გაეროს ელჩმა ნილს სკოტმა, თავის მხრივ აღნიშნა, რომ ის, თუ როგორ ეპყრობა საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების პირებს, იმის მაჩვენებელია, თუ რა მდგომარეობაშია ადამიანის უფლებები საქართველოში.

"ჩვენ ძალიან მოხარული ვართ იმით, რომ ყრუ და სმენადაქვეიღებულ ადამიანებს კიდევ ერთი მომსახურება ექნებათ, რომელიც რა თქმა უნდა, მანამდეც დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდათ და ეს არის გადაუდებელი დახმარება", - განაცხადა ნილს სკოტმა.

112-ის ინიციატივა გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

„ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“

არასამთავრობო ორგანიზაციის- ,,ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების უფროსკლასელებს პროექტი-,,ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ წარუდგინეს. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ მაღალდაძე დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს პროექტის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. მისი განმარტებით, პროექტი ექვს თვეს გაგრძელდება და მოსწავლეები, რომლებიც მასში ჩაერთვებიან, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის, ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, ლიდერობის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესწავლის მიზნით ტრენინგებს გაივლიან. პირველი გასვლითი შეხვედრა, რომელსაც კახეთის გუბერნიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან, აპრილის დასაწყისში თელავში ჩატარდება.

,,ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ მიზნად ნიჭიერი, ენერგიული, მოტივირებული ახალგაზრდების გამოვლენას და მათთვის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობას ისახავს. ახალგაზრდული საკრებულოები სამოცდაოთხივე მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2105 ახალგაზრდას გააერთიანებს.

პროექტის პრეზენტაცია დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში გაიმართა. საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილი პრეზენტაციას საკრებულოს აპარატის და აღმასრულებელი ორგანოს თანამშრომლებთან ერთად დაესწრო.

პროფესიული დღესასწაული მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, კოლეგებთან ერთად, მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ რედაქციას ეწვია და თანამშრომლებს ქართული ჟურნალისტიკის დღე პირადად მიულოცა. საკრებულოს წარმომადგენლებმა „შირაქელებს“ სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსა და მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. საკრებულოს თავმჯდომარე რედაქციაში არსებული პრობლემებითა და გაზეთის განვითარების პერსპექტივით დაინტერესდა.

გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად „საუკუნის ლეგენდის“ ნომინაციაში „შირაქის“ რედაქტორი ნაირა გორაშვილი და „ახალგაზრდა პროფესიონალის“ ნომინაციაში შპს „შირაქის“ დირექტორი ინგა შიოლაშვილიც დასახელდნენ. საკრებულოს წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროელ ჟურნალისტებს პროფესიულ დღესთან ერთად ეს წარმატებაც მიულოცეს.

აქვე გთავაზობთ ზვიად ჯავახიშვილის დედოფლისწყაროელი ჟურნალისტებისადმი მიძღვნილ მილოცვას:

„21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა. ეს დღე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1993 წელს ერთობლივად დააწესა და თარიღი პირველი ქართული გაზეთის გამოცემას დაუკავშირა, ,,საქართველოს გაზეთი'', რა საკვირველია, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ იყო დამოუკიდებელი, მაგრამ მან ქართული მედიისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

დღევანდელი ქართული რეალობა ორასი წლის წინანდელი რეალობისგან, რა თქმა უნდა, რადიკალურად განსხვავდება-ქვეყანა დამოუკიდებელია და დემოკრატიის განვითარების გზას ადგას, შესაბამისად, მაღალია პრესის თავისუფლების ხარისხიც. ამის დასტურია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც , “სიტყვის თავისუფლების ინდექსი 2014” -ის მონაცემებით, საქართველო 84-ე პოზიციაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013 წელთან შედარებით, 16 ნიშნულით წინ გადავიწიეთ. ეს საშუალებას გვაძლევს, ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვვითარდებით და ვიზრდებით უსწრაფესი ტემპებით, რაშიც დღევანდელ ხელისუფლებას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

ჯანსაღი კრიტიკული გარემო ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია და ეს თითოეულ ჩვენგანს კარგად აქვს გაცნობიერებული. იმისათვის, რომ ჩვენი ერთობლივი ზრუნვა ჩვენსავე სამშობლოზე იყოს უფრო წარმატებული და ეფექტური, “სიტყვის თავისუფლების” ცნება განსხვავებულად არ უნდა აღვიქვათ და ,,თავისუფლება“ განუკითხაობასთან, ცილისწამებასთან, უსაფუძვლო ბრალდებებთან და დაუმსახურებლად ერთმანეთის გულისტკენასთან არ გავაიგივოთ.

საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტს ბევრი ღირსეული ჟურნალისტი ჰყავს, რომლებიც მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი, არ კარგავდნენ ობიექტურობას და მყარად იცავდნენ თავისუფალი მედიის პრინციპებს.

შეუძლებელია არ დაინახო და არ დააფასო თქვენი ღვაწლი, პროფესიონალიზმი, შრომა და თავდადება, ძვირფასო ჟურნალისტებო. გილოცავთ პროფესიულ დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერი დღეების სიმრავლეს.“

თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა ჩვენს ხალხს

(პირველი გვერდიდან)

ფონდიდანაა დაფინანსებული, პროექტის ღირებულებაა 57 785 ლარი გახლავთ, ხელშეკრულება 9 მარტის თარიღით გაფორმდა და ორი თვის ვადაში უნდა დასრულდეს. წესით, თუ რაიმე გადაუდებელმა პირობებმა არ შეგვიშალა ხელი, 9 მაისს შენობა უკვე უნდა ჩაბარდეს. პროექტი ჩვენთვისაც ძალიან სასიხარულოა და მას დიდი ენთუზიაზმით და ხალისით ვასრულებთ, რადგან ვიცით, რომ ნამდვილად კარგი საქმე კეთდება,“ – ამბობს დავით ფხოველიშვილი.

ბიბლიოთეკის ახალი შენობის გასხსნას დადებითად აფასებს მოსახლეობაც.

- „წლებია, ბიბლიოთეკას ვეღარ ვაკითხავდი წიგნისთვის, რადგან იყო ხოლმე შემთხვევა, როდესაც ვერ ვსარგებლობდით. ბევრჯერ სკოლებში პედაგოგები ისეთი ლიტერატურის გაცნობას ავალდებულებდნენ მოსწავლეებს, რომ საოჯახო ბიბლიოთეკებში ვერ ვშოულობდით და ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდი გვესაჭიროებოდა. ბიბლიოთეკას კი, წიგნები დასაწყობებული ჰქონდა და ვერ გასცემდა, ფაქტიურად ჩვენ გამოვიარეთ ისეთი პერიოდი, როდესაც ვიცოდით რომ წიგნი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში, მაგრამ ვერ ვსარგებლობდით. მართალია, ბიბლიოთეკარები ყველანაირად გვეხმარებოდნენ და სოფლების ფონდებში გვაგზავნიდნენ, სადაც აღნიშნული ლიტერატურა ეგულებოდათ, მაგრამ ეს ხომ ორივე მხარის დიდ ძალისხმევას მოითხოვდა?! ამასობაში ჩემმა ერთ-ერთმა შვილმა სკოლა დაამთავრა და სტუდენტია, მაგრამ მჯერა, მეორე შვილის შემთხვევაში ასე აღარ გამეორდება, ის ნორმალურ გარემოში წაიკითხავს ბიბლიოთეკაში ლიტერატურას, ამიტომ, ის ამბავი, რომ თანამედროვე დონის ბიბლიოთეკა გვექნება, ძალიან გამიხარდა, როგორც მშობელს და როგორც ამ რაიონის მოქალაქეს.“-ამბობს ჩვენთან საუბარში ქეთევან გოგილაშვილი.

P.S. სასიხარულო ინფორმაცია ყოველთვის სასიამოვნოდ ჟღერს და სასიამოვნო ჩასანიშნიცაა ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის. მე, ისევე როგორც ჩვენს თანამოქალაქეებს, მიყვარს ჩვენი ბიბლიოთეკა და მისი კოლექტივიც, სადაც მუდამ სითბოთი გვხვდებოდნენ. ამიერიდან უფრო უკეთესად დაგვხვდებიან. მიყვარს ბიბლიოთეკა, რადგან მიყვარს ჩვენი კულტურა, ჩვენი წარსული და მომავალი, რასაც სხვაგან ვერსად ისწავლი, თუ არა ის კუნჭული, რასაც ბიბლიოთეკა და წიგნი ჰქვია. გილოცავთ და წარმატებები, კულტურის მუშაკებო!

ლალი მეხრიშვილი

კლიმატის დაცვა ადგილობრივ დონეზე

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ჟურნალისტები პროექტის -„საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია“ (პროექტი 2012 წლიდან ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით) ფარგლებში, ყვარელში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში მიიწვიეს. შეხვედრა შემეცნებითი თვალსაზრისით მეტად საინტერესო და შინაარსობლივი აღმოჩნდა. ტრენინგები ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდა. თვითმმართველობების წარმომადგენლებმა მოისმინეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დედამიწის მეგობრების თანათავმჯდომარის ნინო ჩხობაძის, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის, „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის ავტორის მალხაზ ძნელაძის, ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლის ელენე შატბერაშვილის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელის კარლო ამირგულაშვილის, „მწვანე ალტერნატივა“ ირაკლი მაჭარაშვილის, პროექტის დირექტორის ნინა შატბერაშვილის, ენერგოეფექტურობის ცენტრის წარმომადგენლის ელენე გვილავას და პროექტის გენდერის ექსპერტის თამარ ბაგრატიას ტრენინგები. ერთკვირიანი სამუშაო პროცესის შემდეგ ტრენინგში მონაწილე თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად პროექტის ავტორებმა დაწერეს და შეიმუშავეს კლიმატის ცვლილების მუნიციპალური კონცეფცია.

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხებზე სპეციალური ერთეულების შექმნას. შეხვერდა ხელს შეუწყობს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონითა და სხვა სექტორული კანონმდებლობით დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების გადანაწილებას და ამუშავებას.

პროგრამის მთავარი მიზანია, საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და მისი ზეგავლენის შერბილება ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაციის გზით.

შეხვედრაზე აღინიშნა და მკვეთრად გაესვა ხაზი მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებს, რომელიც უკვე ყველა კუთხით გავლენას ახდენს ჩვენს ყოფითობაზე, განსაკუთრებით ეს აზარალებს სოფლის მეურნეობას, ადამიანების ჯანმრთელობას და სხვა. აღინიშნა, რომ ევროპის ტემპერატურამ

0,76 გრადუსით მოიმატა, რაც აშკარად მწვავე კატაკლიზმებით შეიგრძნობა საქართველოშიც. ამინდის ცვლილებებმა თავისდაუნებურად გადაანაცვლა აგროვადების თარიღებიც. ის,რომ დავით გარეჯში წელს გამყინვარება დაფიქსირდა, ხოლო 50 გრადუსიანი სიცხეები საქართველოს არ ახსოვს, გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ დონეზე. პრობლემებს ვხედავთ სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ენერგეტიკის და სხვა სფეროებში.

ამ კრიზისის დასაძლევად კი, სახელმწიფო პროგრამა უნდა იყოს გათვლილი, რაშიც, უპირველესად, ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა იყვნენ ჩართულნი.

შეხვედრაზე გარემოსდაცვის საკითხებთან ერთად ისაუბრეს სტრატეგიაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა ვიფიქროთ შერბილებაზე. საკითხების განხილვისას ხშირად ახდენდნენ დედოფლისწყაროს რაიონის, კერძოდ შირაქის, ტერიტორიების პრობლემათა არსის წარმოჩენას, სადაც თანდათან შეიმჩნევა ფლორის შემცირება და სიმწირე.

არ გამორიცხეს ისიც, რომ თუ არ მოხდა ხელოვნური გაწყლოვენება შირაქის ტერიტორიების, რაც ნორმალურ პირობებში, საუკუნის პროექტი უნდა გახდეს, არაა გამორიცხული, თუ ზედიზედ რამდენიმე წელი არ გაამართლა იმ კულტურამ, რა კულტურებიც აქამდე მოიყვანებოდა შირაქში, ის ჩანაცვლდეს სხვა ისეთი კულტურით, რომელიც ამ ტერიტორიაზე იხარებს და გაამართლებს.

შეხვედრაზე ისაუბრეს ტყეების მართვაზე, აღინიშნა, რომ ტყე სახელმწიფოსია, მაგრამ მუშავდება პროექტის პრეზენტაცია, რის საფუძველზეც ტყე გადაეცემა თვითმმართველობებს, რათა განავითარონ ადგილები, როგორც საკურორტო ზონები და ტურისტულად მიმზიდველად აქციონ ისინი, წლების შედეგად თუ თვითმმართველობები ტეებს ვერ მოუვლიან ისე, რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნის სტანდარტები, მაშინ ტყეს ისევ სახელმწიფო წაიღებს, თუ არადა, ისევ მათ დარჩებათ. ასევე იყო საუბარი მდინარეების მართვაზე და ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაზე.

დედოფლისწყაროს თვითმმართველობას ამ შეხვედრაზე წარმოვადგენდით გაზეთი „შირაქი“ და საკრებულოს ახალგაზრდა წევრი არსენ ბაღაშვილი, რომელიც კონცეფციის შემუშავების დროს დედოფლისწყაროს ინტერესებს იცავდა და ჩვენს პრობლემებს გარემოსდაცვით ჭრილში ასახავდა, რათა კონცეფციაში ჩვენი პრობლემაც აისახოს და პროექტის ფარგლებში ამ პრობლემათა გადაჭრის გზებიც დაისახოს. ყველასთვის ცხადია რომ მსოფლიო გლობალური დათბობის საფრთხის წინაშე საქართველოში ყველაზე მეტად ჩვენი რაიონი დგას. ამიტომ ჩვენი რაიონის პრობლემები აუცილებლად ჭარბად უნდა აისახოს კლიმატის ცვლილების მუნიციპალური კონცეფციის შემუშავებაში. სწორედ ამიტომ უახლოეს მომავალში ყველა მინიციპალიტეტში, რომლებსაც, ჯერ-ჯერობით, კვლავ არ აქვთ გარემოსდაცვის კუთხით კომისია შექმნილი, აუცილებლად დადგება ამ კომისიის შედგენის აუცილებლობის წინაშე. რომელიც საკრებულოების მუშაობისას გარემოსდაცვის პრობლემებს წამოჭრის და მათი გადაწყვეტის გზებზეც იმუშავებს. არაა გამორიცხული ამ კომისიის შექმნა ჩვენს რაიონში თავად არსენ ბაღაშვილს შეუთავსონ, რადგან იგი ყვარელში მიღებული ერთკვირიანი ტრენინგების საფუძველზე უკვე კარგად გადამზადებული კადრია. ინფორმაციულად და შემეცნებითად დატვირთული ერთკვირიანი შეხვედრა დასრულდა, ჩვენ კი, გრადა ცოდნისა, იქიდან წამოვიღეთ ის განწყობა და ემოციები, რასაც ყვარლის ბუნებასთან ურთიერთობა და ადამიანებს შორის კეთილგანწყობილი დამიოკიდებულება ჰქვია.

აღნიშნულ პროექტში ჩართვისთვის მადლობა ექსპერტს გენდერულ საკითხებში თამარ ბაგრატიას და პროექტის დირექტორს ქალბატონ ნინა შატბერაშვილს.

ტრენინგებზე განხილული სხვადასხვა პრობლემატური საკითხების განხილვას ჩვენი გაზეთი კვლავ არაერთხელ მიუბრუნდება.

ლალი მეხრიშვილი

ღონისძიებები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

ინტელექტუალური კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“

ჩავატარეთ ინტელექტუალური კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“. კონკურსში მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები მე-V, VI და VII კლასის მოსწავლეები, სულ 12 მოსწავლე. კონკურსი იყო ინდივიდუალური და თითოეული დამოუკიდებლად იბრძოდა პირველობისთვის.

კონკურსი ჩატარდა სამ ტურად. თითოეულ ტურში დაისვა 5 შეკითხვა. კითხვები იყო ერთქულიანი და მოსაფიქრებელი დროც 1 წუთი გახლდათ.

პირველი ტურის შემდეგ დაბალქულიანი მონაწილეები გამოეთიშნენ თამაშს. შესაბამისად 6 მაღალქულიანი მონაწილე გადავიდა მე-2 ტურში. ერთნაირქულიან მონაწილეებს მიეცათ დამატებითი კითხვები და ამის შემდეგ გადავიდნენ მე-2 ტურში. მე-2 ტურში ოთხმა მონაწილემ მოაგროვა მაღალი ქულები და ოთხივე გდავიდა მესამე ტურში. საპრიზო ადგილები მოიპოვეს: **პირველი ადგილი**-სალომე ლომსაძემ, **მეორე ადგილი**- რუსუდან გონაშვილმა, **მესამე ადგილი**- გურამ ნათელაძემ.

კონკურსის ყველა მონაწილეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ირმა ბენაშვილმა გადასცა სიგელები „ მონაწილეობისთვის“, აგრეთვე კალმები.

1-2-3 ადგილებზე გასულებს, შესაბამისად, გადაეცათ სიგელები და საჩუქრები. კონკურსს აფასებდა ჟიური მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ირმა ბენაშვილის, პედაგოგების შორენა ასანიშვილის და მზია ბაშარულის შემადგენლობით.

კონკურსის ხელმძღვანელი იყო თამარ ლაპიაშვილი.

საგაზაფხულო ღონისძიება- „ქალი სამყაროს მშვენება, სიცოცხლის საწყისია“

20 მარტს ჩატარდა საგაზაფხულო ღონისძიება- „ქალი სამყაროს მშვენება, სიცოცხლის საწყისი“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მუსიკის და შემოქმედებითი წრის წევრები.

ღონისძიებას უძღვებოდნენ წამყვანები ანი და დავით ნასრაშვილები. მათ ლამაზი სიტყვებით და ლექსებით მიულოცეს ქალებს ქალთა წელი და გაზაფხულის შემობრძანება.

მრავალშვილიანი ოჯახების – ოთხშვილიანი ჯეთერიშვილების და ლიქოკელების შვილებმა, ლექსებით გამოხატეს დედისადმი სიყვარული და პატივისცემა.

უამრავი ლამაზი ეპითეტი , აფორიზმი და გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები წაგვიკითხეს ნორჩმა დეკლამატორებმა ნინი და მარი ბზუკაშვილებმა, ანი და ცისია გიგაშვლებმა, ნინო ხეტელაშვილმა.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ნორჩი მუსიკოსები. ფანდურზე შეასრულეს სიმღერები მარი მოსაშვილმა, მიხეილ ლაპიაშვილმა, თეო ჯალიაშვილმა, რუსუდან გონაშვილმა, თამარ ქამაშიძემ და ლადო შეითნიშვილმა.

ამ ღონისძიების წინა დღეს შემოქმედებითი წრის წევრებმა პატარა ლაშქრობაც მოაწყეს. მათ თავიანთი ხელით ლამაზად შეკრული იების, ფურისულების, და ჩიტისთვალების კონები მიართვეს ზეიმის ბოლოს მშობლებს, პედაგოგებს, მოწვეულ სტუმრებს.

ღონისძიების ბოლოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ირმა ბენაშვილმა ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისთვის ბავშვებს გადასცა სიგელები, ხოლო ერთ-ერთ მონაწილეს – თამარ ჯეთერიშვილს მიულოცეს დაბადების დღე.

ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ მუსიკის წრის მასწავლებელი შორენა ასანიშვილი და შემოქმედებითი წრის მასწავლებელი ნინო სიფრაშვილი.

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“....

„სამშობლო ის მადლიანი ადგილია, სადაც უფლის ნებით, მამულიშვილი იბადება და ცნობიერი რწმენით იწყებს დიდსულოვან მოღვაწეობას...

სამშობლო იმ მამულიშვილთა სასიყვარულო ბაღია, სადაც ერთი ყოფით ხარობენ, სიყვარულს თესავენ... ”

სამშობლო ჩვენი დედაა, ჩვენი მამაა, ჩვენი და-ძმაა, ჩვენი მინაწყალია!.. ჩვენი წარსული და ჩვენი მომავალია...

ყოველი ქართველი დედის ვალია, შვილი სამშობლოს დასაცავად აღზარდოს და ახალშობილს “იავნანასთან” ერთად ჩაუნერგოს, რომ “სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა”...

რატომ გვიბოძა ღმერთმა სამშობლო?

- იმიტომ რომ შევქმნათ კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, ვემსახუროთ სამშობლოს, დავიცვათ წინაპართა ის მონაპოვარი, რომელსაც იცავდნენ ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე და იცავდნენ 2008 წლის აგვისტოშიც... ომი, რომელმაც ბევრი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისა...

2008 წლის “აგვისტოს ომში” დაღუპული გმირების დედათა საპატივსაცემოდ გაიმართა 25 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო სოლო კონცერტი ანსამბლ”იმედის” და მისი ხელმძღვანელის ხვიჩა ზუბიაშვილის ინიციატივით.

ღონისძიება მიჰყავდათ №1 საჯარო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს, სხვადასხვა სასკოლო პროექტების ავტორებს ქეთი ჩაფიაშვილსა და ქეთი შანშიაშვილს. მათ დასაწყისშივე შეახსენეს დამსწრე აუდიტორიას, რომ „აგვისტო ჩვენი თაობის ტკივილია, ჩვენი საქართველოს ტკივილია! არ გვაქვს უფლება, არ მოვეფეროთ ჩვენს გმირებს, ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილებს!”

დარბაზმა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დედოფლისწყაროელი გმირების: გიორგი აბიათარის, გოჩა ილურიძის, თეიმურაზ ბერიძისა და ბონდო კახოიძის ხსოვნას. “მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს” და ენთო სანთლები ჩვენი მომავალი თაობების წინაშე, რომლებსაც არასოდეს დაავიწყდებათ, რომ 2015 წლის 25 მარტს “აგვისტოს ომის” გმირებისთვის იცეკვეს, იმღერეს, ლექსი წაიკითხეს და უამრავი სამადლობელი სიტყვა მიუძღვნეს...

“საიდან დავიწყო და რომელ ვაჟკაცს მოგეფეროთ, ძმებო, რომელ ვაჟკაცს დაგირღვიოთ მყუდროება, რაც არ უნდა ცხელოდეს, “აგვისტოში” მაინც სულის ტკივილამდე მცივა... როგორ მოგინელოთ, აბა, გვასწავლეთ, ბიჭებო... მტერმა ვერ დაგაჩოქათ,არ იცოდნენ, რომ ქართველ დედას მუხლზე დგომა არ უსწავლებია ვაჟებისთვის!.. ვინ თქვა თქვენი სიკვდილი? აბა სამშობლოს დასჭირდეს, როგორ დაიქუხებთ ისევ, ბოდიში, რომ არ მოვდივართ ძმათა სასაფლაოზე, ბოდიში, ბიჭებო... თქვენ უფრო ახლოს ხართ, აქვე ჩემთან, მარცხენა მხარეს, ყველას გული რომ ჰგონია და სინამდვილეში, თქვენ და სამშობლო რომ გქვიათ!”-ამ სიტყვებით სცენიდან ქეთი ჩაფიაშვილი მოგვმართავს და შეგვახსენებს, რომ ქვეყანა, რომელმაც ამდენი გმირი აღზარდა, “ამ გენის გმირობა მითები როდია, გახედე, მამულო, საშველად მოდიან”...

გადაჭედილ დარბაზში ოვაციები არ ცხრებოდა. ანსამბლ “იმედის” ინიციატივას შეურთდა ყველასათვის საყვარელი მომღერალი ნატო გელაშვილი,რომელმაც რამოდენიმე სიმღერით პატივი მიაგო დაღუპული გმირების ხსოვნას და თავისი წვლილი შეიტანა საქველმოქმედო ღონისძიებაში.

ერთმანეთს ენაცვლებოდა სოლისტების: ერეკლე ჯანიაშვილის, გვანცა გოგიჩაიშვილის, მიშო ქავთარაძის, დათო ოზაშვილის, ნინო ვარდაშვილის, ანა და გიორგი კვიწინაშვილების, თიკა გიგაურის, თამუნა პაპაჩაშვილის, ანა ტუხაშვილის, ლევან პოპიაშვილის, ნიკოლოზ შანშიაშვილის, თაკო ძნელაშვილის, გიორგი ნატროშვილის, სალომე სიმონიძის, მარიამ და ნიკა ფიროსმანაშვილების, რუსო ქადაგიძის, მარიამ ნასრაშვილის და სხვათა მიერ ძალიან დახვეწილად შესრულებული “სამაია”, “მთიულური”, ”ოსური”, „სატრფიალო“, „ყაზბეგური“, „აჭარული”, „ხორუმი“, „დავლური“... ცეკვებს თორღვა ნაროზაულის მიერ “დედაზე” მხატვრულად წაკითხული ლექსი სცვლიდა, ლექსს სლაიდები, საიდანაც „აგვისტოს ომის“ შემზარავი კადრები გვახსენებდნენ თავს, შემდეგ მაია ლეკიშვილის ხელოვნების სკოლასთან არსებულმა გოგონათა გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა კვლავ მხიარული განწყობა დააბრუნეს დარბაზში...

ღონისძიებას განსაკუთრებულ ელფერს სძენდნენ და პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებდნენ “ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ფოლკლორის სკოლის” ვაჟთა ანსამბლის წევრები. მათ მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა და საგალობლებმა მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა...

“ნანა, იავნანა, დედის გულისპირზე თბილად ნატარებო, გმირნო ბუმბერაზნო, თუმცა, დედებისთვის მუდამ პატარებო, გლოვობს ივერია, უკვე მერამდენედ, ცრემლად დაღვრილია, ომში ვინც ნავიდა, მკერდი ვინც ააფარა, ის უკვე გმირია! ალბათ, “იავნანამ” მოგცათ ვაჟკაცობის ძალა საოცარი, გმირო ჭაბუკებო, თქვენს სულს შეეწევა ყველა სალოცავი!”...

დიახ, “უკვე მერამდენედ!”...

„შენს დასაცავად მოვედი,
ასე ურჩი და აშარი,
ღმერთმა სიცოცხლე მაშოროს,
შენი მტრის ნაფეშქაშარი!“...

ეს სიტყვები 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთ მონაწილეს ეკუთვნის, რომელიც რუსთაველის გამზირზე ერთ-ერთ ხეზე იყო ამოტვიფრული და 10 აპრილს, ტრაგედიის მეორე დილას ამოვწერე... მას შემდეგ 26 წელი გავიდა, იყო “აგვისტოს ომი”... არის ოკუპირებული ტერიტორიები... გადაწყვეტილება მიღებულია, დღითი დღე ვუახლოვდებით ევროპას, ვიხედებით წინ და ღრმად გვწამს, რომ “სიხარულით შეგვეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი!”...

ღონისძიების წამყვანებმა დასასრულს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადეს ანსამბლის ხელმძღვანელს-ხვიჩა ზუბიაშვილს, №1 საჯარო სკოლის დირექტორს ეთერ ოთარაშვილს, რაიონის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ნონა ჯიბღაშვილს მათთვის გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდა ხორნაბუჯის ეპისკოპოსი - მეუფე დიმიტრი(კაპანაძე) ეპარქიის წარმომადგენლებთან ერთად, გამგეობისა და საკრებულოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარე და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

საქართველოს ისტორია

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ადამიანთა ცხოვრების ფაქტს ადასტურებს დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები უძველესია მთელს ევრაზიაში და მისი ასაკი 1 800 000 წლის არის. ქართველების პირველი პოლიტიკური გაერთიანება დიაოხი და კოლხა მდინარე ჭყოროხის აუზში ძვ.წ II ათასაწლეულის ბოლოს შეიქმნა, მათ მხოლოდ რამდენიმე საუკუნე იარსებეს. ისინი დაამხეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა. ძვ.წ VI საუკუნეში ჩამოყალიბდა ეგრისის ანუ კოლხეთის სამეფო. იგი თითქმის მთლიანად აერთიანებდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს. ძვ.წ IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა იბერიის სამეფო. სწორედ იბერიის მეფეს ფარნავაზს უკავშირდება ქართული დამწერლობის შექმნა. ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს რომის იმპერიამ დაიპყრო ეგრისის სამეფო, ქართლის სამეფო ჯერ რომის ვასალია ხოლო მისი დასუსტების შემდეგ, სპარსეთის გავლენის ქვეშ ექცევა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავრო ჩამოყალიბდა: ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების. განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზთა სამთავრო, რომელმაც თავის გავლენას დაუქვემდებარა დანარჩენი სამი და შეიქმნა ახალი სახელმწიფო - ლაზიკა.

VI საუკუნეში სპარსელებმა ქართლში, ხოლო ბიზანტიელებმა ლაზიკაში გააუქმეს მეფობა და მმართველად თავიანთი მოხელეები დანიშნეს. VII საუკუნის შუა ხანებში საქართველო ახალმა დამპყრობლებმა არაბებმა დაიმორჩილეს. VIII საუკუნის ბოლოს ქვეყნის პერიფერიულ ნაწილებში, სადაც არაბთა გავლენა სუსტი იყო, ყალიბდება ახალი, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოები. აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა: კახეთის სამთავრო (საქორეპისკოპოსო) და ჰერეთის სამეფო. დასავლეთ საქართველოში შეიქმნა აფხაზთა სამეფო. IX საუკუნის დამდეგს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელსაც უკვე 888 წლიდან ქართველთა სამეფო ეწოდა. X-XI საუკუნეების მიჯნაზე აფხაზთა და ქართველთა სახელმწიფოები გაერთიანდა, ამ გაერთიანებული სახელმწიფოს პირველი მეფე ბაგრატ III გახდა. XII საუკუნეში აფხაზთა და ქართველთა სახელმწიფოს დავით აღმაშენებელმა შემოუერთა კახეთ-ჰერეთი (რანთა და კახთა სამეფო), ტაშირ-ძორაგეტის სამეფო და ბოლოს თბილისის საამირო. დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ გაათავისუფლა საქართველო თურქ-სელჯუკების ბატონობისგან. საქართველოსთვის ოქროს ხანად ითვლება თამარ მეფის მოღვაწეობის პერიოდი.

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევებმა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა სამეფო საქართველოში შექმნილი ვითარების გამო ქვეყანა გაიყო ორ ნაწილად, ერთში მეფობდა დავით ულუს შთამომავლები ხოლო მეორეში დავით ნარინის. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალეს მმართველობის დროს საქართველო კვლავ გაერთიანდა, მაგრამ იმავე საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ ქვეყანა მიწასთან გაასწორა. ამას, შემდეგ საუკუნეებში მოჰყვა ირანის და ოსმალეთის აგრესია, ჩრდილო-კავკასიურ ტომთა თავდასხმები და შინააშლილობა. 1490 წლიდან საქართველო ოფიციალურად დაიშალა: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. XVI საუკუნეში იმერეთს გამოეყო: სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები. 1555 წელს დადებული ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს, ქართლი და კახეთი ირანს, ხოლო დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ვასალები გახდნენ. 1633 წელს ქართლის მეფე ხდება როსტომ-ხანი, ამის შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ქრისტიანი მეფე არ ასულა. XVIII საუკუნიდან ქართლ-კახეთი ერთიანდება და დამოუკიდებელი ხდება ირანელებისაგან. 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის პროტექტორატი გახდა.

1801 წელს რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და შეიერთა იგი რიგითი გუბერნიის სტატუსით. იმავე წლებში რუსეთის პროტექტორატი აღიარეს სხვა ქართულმა სამეფო-სამთავროებმაც, რასაც მოგვიანებით მათი სრული გაუქმება მოჰყვა. გარდა ამისა რუსეთმა ომით შეიერთა საქართველოს დაკარგული ტერიტორიები. 1918 წელს რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა (პირველი რესპუბლიკა). 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. ქვეყანაში შეიქმნა სამი ახალი პოლიტიკური ერთეული - აფხაზეთის სამოკავშირეო რესპუბლიკა (1931 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

1991 წელს საბჭოთა კავშირისგან საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

საბჭოთა იმპერია მტრულად შეხვდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს და რეფერენდუმის საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს გაუჭირდებოდა საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ბრძოლა. ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვრებს სსრკ-ს ჯარები იცავდა , ხოლო ქვეყანაში სსრკ-ს ბაზები იყო განლაგებული, დამატებით პრობლემებს ქმნიდა. გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების შექმნა. სსრკ-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს წინააღმდეგ კარგად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. 1990 წლის ნოემბერში მოსკოვის ნაქებზებით ოსმა სეპარატისტებმა მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება. მათ სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს. ეს ფაქტი მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური გაფრთხილების მიუხედავად, 1990 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთში ჩატარდა არჩევნები, რომელშიც ქართულ მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია. არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით სეპარატისტებმა ავტონომიური ოლქი დამოუკიდებელ ქვეყნად გამოაცხადეს, რითაც კვლავ უხეშად იქნა ხელყოფილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. სეპარატისტების ანტიკონსტიტუციური ქმედებების გამო საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერშივე გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მოსკოვი სეპარატისტების აშკარა მხარდაჭერის გზას დაადგა. 1991 წლის იანვარში გამოვიდა სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. სეპარატისტების მოქმედებების შემდეგ დაიძაბა ურთიერთობები ქართველებსა და ოსებს შორის. სულ უფრო მცირდებოდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზები.

მოსკოვის წაქეზებით თანდათანობით იძაბება ვითარება აფხაზეთში. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1990 წლის აგვისტოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო , ანტიკონსტიტუციური დეკლარაცია. აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს უკანონო აქტი.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთა. მოსკოვი პრინციპულად არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფერს აკეთებდა ცსაქართველოში ვითარების დაძაბვისთვის. მოსკოვის ქმედებები ანტი ქარეთული ხასიათის იყო, საბჭოთა კავშირი ყველა საშუალებას ხმარობდა რათა ქართველი ერი ერთამანეთთან დაეპირისპირებინა. ასეთ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო საქართველოს პარტიების და ეროვნული ძალების გაერთიანება , ეს არ მოხდა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 1991 წლის აგვისტოში, ამ დროს მოსკოვში რაქციულმა ძალება სცადეს პუტჩის მოწყობა და პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ჩამოგდება. მართალია პუტჩისტები დამარცხდნენ, მაგრამ ამას მოჰყვა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი , რომელმაც საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი. 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი, ამას მოჰყვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არასტაბილური ვითარება და კრიზისი . ამ ყველაფერმა საქართველოში ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.

1991 წლის დეკემბერში და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კონსტიტუციური ხელისუფლება. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯერ სომხეთს ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ. სამხედრო საბჭო ხელისუფლების არალეგიტიმური ორგანო იყო. სამხედრო გადატრიალებას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა ქვეყანაში სამოქალაქო ომს.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, იყო ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიც, პირველი პრეზიდენტის-ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, შემდეგ „ვარდების რევოლუცია“, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ეტაპი და ბოლოს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიც, რომლის მეშვეობითაც ხალხმა უარი თქვა ნაციონალური მოძრაობის მმართველობაზე და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოიყვანა.

კვლავ ინერება საქართველოს ისტორია, ზოგჯერ სისხლით და ზოგჯერ უსისხლოდ...

ამჯერად სხვა რეალობა არსებობს მსოფლიოში, ახალი პერსპექტივა ჩვენი ქვეყნისთვის -კარი ღიაა დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე, გზაზე, რომელზეც საუკუნეების წინ სულხან-საბა ორბელიანი ამაოდ იღწვოდა...

ხმალზე ძლიერი სიტყვა

„ხალხური პოეზია საუკუნეების გადმომწვდენი ხმა არის“,-წერს ვახტანგ კოტეტიშვილი. მართლაც, საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ერის სიბრძნე ხალხურ ზეპირთქმაშია შენახული. კაცობრიობას რაც კი გენიალური დაუწერია, ყველას სათავე ხალხურ წიაღშია. ხალხში დღესაც უამრავი მარგალიტია გაბნეული, რომელსაც შეგროვება

და მოვლა სჭირდება.

აკადემიკოსი ალექსანდრე არაბული წარმოშობით ხევსურეთიდანაა, 80 წელს გადაცილებული მეცნიერი ბევრი იმ ადათ-წესის მომსწრეა, რომლებიც დღეს უკვე დაკარგული ან გადაგვარებულია. ჩვენს მკითხველს მეცნიერის ნაამბობი უთუოდ დაინტერესებს.

ალექსანდრე არაბული:

- მთაში წიგნი, დამწერლობა გვიან შევიდა. უფროსები ბავშვებს იმას უყვებოდნენ, რაც წინაპრებისგან გაეგოთ. ხალხურ პოეზიაში დიდი სიბრძნე დევს. მომავალი თაობები ზეპირსიტყვიერებით ბევრ რამეს სწავლობდნენ. ხალხში არც ცუდი საქმე იმალებოდა, არც კარგი. ლექსად ამღერებდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

მთაში ლექსს თითქმის ყველა წერდა. სხვათა შორის, ქალები არანაკლებ კარგი მოლექსეები იყვნენ. მათი ლექსები ღრმა და დიდი აზრის მატარებელია.

ხევსური ვერ იტანს, როცა ლექსში უწმაწურ სიტყვას შეაპარებენ. ამის გამო შეიძლება კაციც მოკლან. შაირ-კაფია უფრო ფშაველებისთვის იყო დამახასიათებელი. თუ საწყენ რამეს ეტყოდა ფშაველი ხევსურს, ჩხუბი იწყებოდა, ხევსური არ პატიობდა,ფშავში ერთი მელექსე ცხოვრობდა, რომელსაც ხევსური სახალხო მთქმელი -ნია ქისტაური ხშირად აკითხავდა და მასთან ქეიფობდა. ერთ დღეს ფშაველმა ლექსად უთხრა: „ დაგიღამდება ნიაო, ველარ შაივლი ღულსაო.“ ანუ ლექსით მიახვედრა, შენს სოფელში წადიო (ნია ქისტაური პირიქითა ხევსურეთის სოფელ ღულში ცხოვრობდა. იგი ცნობილი ყოფილა გარეგნობით, სიტყვა- პასუხით, მტერ -მოყვარესთან ღირსეული დახვედრით).

ხევსურმა უპასუხა:

„სულ ეგრე დადის ნიაო,
მთვარეს არ უგდებს ყურსაო,
მივა და გადაეხვევა,
საუკლომოქარგულსაო.“

ერთხელ ნია ფშავში დარჩა. მასპინძელმა მთვრალი დააწვინა და ფარდაგი დააფარა, ისე, როგორც ალაოს წააფარებენ ხოლმე. მოგეხსენებათ, ალაო გასაღვიებელ ხორბალს ჰქვია.ფშაველმა სტუმარი რომ დააწვინა, თან ლექსად უთხრა:

„ალაოსავით ჩაგდევი, ჩემო ბაბილის ნიაო.“

იმის მიუხედავად, რომ ხევსური მთვრალი იყო, პასუხი იმ წუთში დაუბრუნა:

„დილას ხელ შემომოუფდე, როგორ ღიე გამიფაო“.

ლექსით პაექრობა ჭკუის სასწავლებელი იყო. კარგად ნათქვამი სიტყვა ძლიერად მოქნეულ ხმალსაც სჯობდა. კარგ მთქმელსა და მატირალს სოფელში დიდი დაფასება ჰქონდა. კარგ დატირებას დიდი ნიჭი უნდა. ხალხურ პოეზიაში ისეთი ნატირალებია, სადაც უდიდესი სიბრძნე და ფილოსოფია დევს.

კაი ყმასა და კაი ქალს ხოტბას ლექსებით ასხამდნენ, მათ საქმეებს ჩონგურსა და ფანდურზე დაამღერებდნენ ხოლმე. მთაში კარგი ყმობისა და ქალობის დაუწერელი კანონები არსებობდა. 40 მცნებაზე მეტი იყო, რომელიც კაიყმას უნდა შეესრულებინა. უნდა ყოფილიყო მამაცი, მორწმუნე, სამშობლოსათვის თავდადებული. ახალგაზრდას კაიყმის წოდებას არ აძლევდნენ. 15-დან 25 წლამდე ჭაბუკობის წლებს ეძახდნენ. იტყოდნენ, ჭაკია, არა ჭაბუკიო. 25-დან 50 წლამდე კაცურკაცობის პერიოდი დგებოდა. სიბერის, ბერობის წლები 50 წლის შემდეგ დგებოდა, ეს უკვე სიბრძნის წლები იყო და კაიყმას მეტი გამჭრიახობა, ჭკუა მოეთხოვებოდა. სოფელსა და თემში ასეთი ადამიანი თუ ერია, დიდი პატივი იყო. მაგრამ კაიყმის შემაცდენელი ქალი და ღვინო იყო. სხვისი ცოლის სიყვარული ეკრძალებოდათ-„კაცი მოკვდება ცოლზედა, მამულზე საკუთარზედა.“

კაი ყმა ხირშლა ბაბურაულის ამბავი შთამომავლობას გადაეცა. მასზე ბევრ რამეს ყვებოდნენ. ის მამაცობით იყო განთქმული, მტერს მუსრს ავლებდა. თურმე ერთ დღეს ხმა გავარდა, ჯუთის მხრიდან ჩეჩენ- ინგუშები შემოგვესივნენო. ხირშლას იქვე ცხენი არ ჰყავდა და ფეხით გავარდნილა. ბრძოლის ადგილას. რომ მივიდა, ერთ ხევსურს, გვარად თვალჭრელიძეს, უკვე სამი კაცი ჰყავდა მოკლული, ხირშლა შეერია ბრძოლაში და მტერი გაწყვიტეს. გამარჯვების შემდეგ საკარგყმო დადეს და თქვეს, დღეს ვინ იბძოდა კარგადო. ყველამ ხირშალა დაასახელა. მან კი თქვა: - არა, ეგ თასი თვალჭრელიძეს ეკუთვნის, სანამ მე მივდიოდი, სამ კაცს მოჭრა თავიო. ვაჟკაცმა სხვისი გმირობა არ მიითვისა. ხატში საკარგყმოს ადგილი ცალკე იყო, რომელსაც ყველა ვერ მიეკარებოდა. იქ მოვარაყებული ვერცხლის თასი იდგა, რომელსაც მხოლოდ კაიყმას მიართმევდნენ. ხატობაზე კარგ ყმასა და კარგ მონადირეს სუფრის თავში, გამორჩეულ სკამზე სვამდნენ. „კარგ ყმას ნუ შურობთ, სწორებო, კაი ყმა სოფლის ფასია“. კარგი მონადირეც მთელი სოფლის პატრონი, დამცველი იყო. მის სახელს მთელ კავკასიაში სცემდნენ პატივს იმ სოფლიდან, რომელსაც კარგი მონადირე პატრონობდა, არც საქონელს გაიტაცებდნენ და არც-ქალს. ყველამ იცოდა, მონადირე გზას მოუჭრიდა და გაანადგურებდა.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთაში მანდილიც. მანდილს ძალიან დიდი ისტორია აქვს. გასათხოვარი ქალი თავშალს იხურავდა, გათხოვების შემდეგ- მანდილსა და სათავურას. მანდილის ღირსეულად მატარებელს ხოტბას ლექსებსა და სიმღერებში ასხამდნენ. თურმე ერთხელ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მთაში ყანას მკიდა. ქალმა ქმარს სთხოვა, მაინც არავინ მიყურებს, მსნდილს მოვიხდიო. ვერ მოიხდიო, უთხრა ქმარმა, ადგილ-მამული გვიყურებსო. მოჩხუბრებს ქალის გარდა ვერავინ აშველებდა. ქალი იტყოდა სიტყვას: „ასეთა გეხვეწებითაო“ თუმცა ამის თქმაც აღარ იყო საქირო, ისეთი დიდი იყო ქალის მანდილი- სადმი პატივისცემა, ვაჟკაცები იარაღს ჩააგდებდნენ. ვინც მანდილის ღირსებას არ იცავდა, თავისი საქციელი ძვირად უჯდებოდა. ეს ქალის ნამუსის შელახვის ტოლფას დანაშაულად ითვლებოდა. ერთხელ ორი მტერი შეხვდა ერთმანეთს. ერთ-ერთს თან დედა ახლდა. ქალმა იცოდა, ერთმანეთს არ დაზოგავდნენ. ამიტომ წინასწარ ჩაადო მანდილი. შვილმა დედის მანდილს ფეხი ამოჰკრა. მტერმა აღარ დაზოგა დედის მანდილის შეურაცხმყოფელი, გამეტებით დაჰკრა ხმალი და ხელი მოსჭრა. საერთოდ, ხმალს ძლიერად მშიშარა იქნევდა, ვაკაცი მოწინააღმდეგეს მსუმბუქად თუ დასჭირდა. ახლა ყველაფერი სხვანაირად არის. ბევრი ტრადიცია დაიკარგა. მათ შორის სწორფერობაც. სწოფერობის ტრადიცია პატიოსნურად სრულდებოდა. კაი ვაჟკაცი სტუმრად რომ მიდიოდა, იცოდა, რომ კარგ ქალთან მოუწევდა შეხვედრა და დაწოლა. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქალი მას შიშველი ჩაუგორდებოდა. უბრალოდ შეხვდებოდნენ და ისაუბრებდნენ. ამის შემდეგ ისინი სწორფერნი იყვნენ. მერე ეს გადაიზარდა დობილ-ძმობილობაში.

„არ მოგწყინდაი ბარია,
არ მოგინდაი მთაშია,
კარგას ქალასთან ჩაწოლა,
იმასთან საუბარია?“

ნათქვამია ერთ-ერთ ლექსში.

მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდი ბ-ნ ალექსანდრე არაბულს და ნია ქისტაურის შვილთაშვილებს, ამჟამად იტალიაში მცხოვრებ მამუკა და ნანა გოგოჭურებს.

მასალა მოამზადა
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
ექსკურსიამძღოლმა
 დალი ბაღაშვილმა

„ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“...

“- რა არის სიცოცხლე?

- სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

- სიკვდილი?

- სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.”

“- მე შეიძლება გავგიჟდე.

- რატომ?

- ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს, მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ.”

“ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში” - გოდერძი ჩოხელმა სიკვდილით ბევრს დაწყვიტა გული და თავისი ღრმა, ფილოსოფიური შეხედულებებით სამყაროსა და ადამიანებზე თავისი ამქვეყნიდან წასვლით კიდევ უფრო მეტი საფიქრალი დაუტოვა ქართველ მკითხველს.

გოდერძი ჩოხელი დაიბადა 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონში.

„დავიბადე 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში; უფრო სწორად, ჩოხში არა. ჩოხი ითვლებოდა წმინდა ადგილად. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავი არის იქ და არ შეიძლება მშობიარობა (არც ადრე შეიძლებოდა, რა თქმა უნდა). ამიტომ დედაჩემი წავიდა ზევით მთაში თავის დედ—მამასთან, სოფელ ბურსაჭირში, მაგრამ იქამდე ვერ მივაღწიე და გზაში გავჩნდი, გზაზე დავიბადე. შემოდგომა იყო, ციოდა. დედაჩემს მდინარის გაღმა სახლი დაუნახავს და იქ მისულა. ეს მწყემსების სახლი ყოფილა, მაგრამ არც იმათ შეუშვიათ. სახლშიც არ შეიძლებოდა მშობიარეს შესვლა. გომურში შესულა და ის ღამე იქ გაგვიტარებია... ორმოცი დღე დავრჩენილვარ ბურსაჭირში და მერე დამაბრუნეს ჩოხში. ჩოხში დავამთავრე რვაწლიანი სკოლა.“ (გოდერძი ჩოხელი. ავტობიოგრაფია)

სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გოდერძი ჩოხელი სწავლობდა ფასანაურის საშუალო სკოლაში. 1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, 1974 წლიდან კინოსარეჟისორო ფაკულტეტზეა, რომელიც 1979 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად.

„პირველად ფილმი ჩოხში ვნახე, მეოთხე კლასში და იქიდან გადავწყვიტე, რომ კინოსთვის დამეკავშირებინა ჩემი ბედი. შემდეგი ორი წელი ფასანაურში ვსწავლობდი, საშუალო სკოლაში. შემდეგ ჩავაბარე შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, მაგრამ გადავედი კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე,რომელიც მოგვიანებით შეიქმნა.“ (გოდერძი ჩოხელი. ავტობიოგრაფია)

1980 წლიდან გოდერძი ჩოხელი კინომატოგრაფისტთა კავშირის წევრია, ხოლო 1981 წელს მიიღეს მწერალთა კავშირში.

„ჩემი პირველი საკურსო ფილმი იყო “ნამეხარი მუხა”. მეორე საკურსო ფილმი იყო „ადგილის დედა“, რომელმაც მიიღო გრან-პრი ობერჰაუზენში, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. პრიზის მისაღებად არ ვავსულვარ. არც ვიცოდი, ჩემი ფილმი ფესტივალზე თუ იყო გაგზავნილი.

მწერლობა დავიწყე 1977 წელს. საკურსო ფილმებისთვის ვწერდი სცენარებს და შემდეგ დამიბეჭდეს, როგორც მოთხრობები. რედაქციაში რამდენიმე სცენარი დამინუნეს და სხვა დაგვიწერეო, მეუბნებოდნენ. თურმე, თავიდანვე მოსწონებიათ და იმიტომ მაწერინებდნენ. პირველი გამოხმაურება ბატონებმა — ნოდარ წულეისკირმა და ნიკო კეცხოველმა დამიწერეს. ჩემი პირველი წიგნი 1980 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა “მერანში” - “წერილი ნაძვებს”. ჩემი პედაგოგი იყო ქალბატონი ლანა ღოღობერიძე და აღფრთოვანებული იყო ჩემი სცენარებით და მოთხრობებით. მაწერინებდა და მაწერინებდა... სადებიუტო ფილმი იყო „ბაკურხეველი ხევსური“. 1982 წელს მოვიყვანე ცოლი — ნინო. მყავს ორი შვილი — ლუკა და ნიკოლოზი.“ (გოდერძი ჩოხელი. ავტობიოგრაფია)

1980 წელს გამოცემულ გოდერძი ჩოხელის პირველივე წიგნს („წერილი ნაძვებს“.) წლის საუკეთესო წიგნის პრემია მიენიჭა და 1981 წელს რუსულ ენაზე ითარგმნა. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები:

„ბინდისფერი სოფელი“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მინავ!“, „სულეთის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“. ლექსების კრებული „ბედი მდევარი“, მოთხრობების კრებული იტალიურ ენაზე „შავი არაგვი“. რომანები: „მგელი“, და „მღვდლის ცოდვა“.

გოდერძი ჩოხელს გადაღებული აქვს აგრეთვე ფილმები:

1981 წელს - „აღდგომა“.

1984 წელს - „ადამიანთა სევდა“.

1986 წელს - „წერილი ნაძვებს“.

1988 წერს - „უცხო“.

1989 წელს - „თეთრი ალამი“.

1990 წელს - „ცოდვის შვილები“. ამ ფილმს მიღებული აქვს შემდეგი პრიზები:

1990 წელს მონტე-კარლოში კინოფესტივალზე მიიღო 2 პრიზი, ვერცხლის ნიმფა და საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი.

1992 წელს იაპონიაში, ხიროსიმაში ჟიურის სპეციალური პრიზი.

1992 წელს მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია თბილსში გამართულ კინოფესტივალზე, სახელწოდებით „ოქროს არწივი“,საუკეთესო სცენარისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი.

1997 წელს გამოვიდა კინოეკრანებზე „სამოთხის გვრიტები“.

1998 წელს - „ლუკას სახარება“. ფილმმა კინოშოკზე მიიღო პრიზი საუკეთესო სცენარისათვის.

1999 წელს მართლმადიდებელ კინოფესტივალზე დაჯილდოვდა რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის მიერ დაწესებული პრიზი.

1999 წელს გოდერძი ჩოხელმა გადაიღო „მიჯაჭვული რაინდები“, რომელიც ორი პრიზით დაჯილდოვდა, ერთი საუკეთესო პროდიუსერისათვის და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის .

2003 წელს გამოვიდა მისი ბოლო ფილმი „სიყვარულის ცეცხლი“.

გოდერძი ჩოხელი გარდაიცვალა 2007 წელს, დასაფლავებულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

საზარელი ავიაკატასტროფა - ვინ იყო მეორე პილოტი, რომელმაც 149 ადამიანი იმსხვერპლა

ანდრიას ლიუბიცის თვითმკვლელობა და მასობრივი სასაკლაო ალპებში

რაც შეეხება მგზავრებს, "შავი ყუთის" ჩანაწერის მიხედვით, მათ უკანასკნელ წუთს გააცნობიერეს, რომ თვითმფრინავი ვარდებოდა. ამ დროს ჩანაწერში ისმის ადამიანთა სასოწარკვეთილი ყვირილი...

24 მარტს ალპებში კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია "ჯერმანუინგზის" სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელშიც 150 ადამიანი იმყოფებოდა. თვითმფრინავი A320 ესპანეთის ქალაქ ბარსელონადან გერმანიაში, ქალაქ დიუსელდორფში, მიფრინავდა. ავიახომალდი ჩამოვარდა საფრანგეთის ტერიტორიაზე, ალპებში, ქალაქ დინ-ლე-ბენის მახლობლად. ავიაკომპანია "ჯერმანუინგზი", რომელიც, თავის მხრივ ევროპაში უდიდესი ავიაკომპანია "ლუფტჰანზას" შვილობილი კომპანიაა, იაფ, დაბალბიუჯეტიანად წოდებულ ავიაკომპანიებს მიეკუთვნება. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თვითმფრინავის კატასტროფა მის ტექნიკურ გაუმართაობას გამოეწვია, თუმცა, „შავი ყუთების" გაშიფვრამ ვითარება სულ სხვაგვარად წარმოაჩინა. ავიაკატასტროფისას 144 მგზავრი და ეკიპაჟის ექვსი წევრი დაიღუპა. მათ შორის: 75 - გერმანიის, 50 - ესპანეთის, ასევე ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, არგენტინისა და ყაზახეთის მოქალაქეები. თვითმფრინავმა დილის 10:45-ზე გაავრცელა განგაშის სიგნალი, რასაც მოჰყვა მისი 2000-მდე მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნა.

პოლიციამ უკვე გაჩხრიკა ჩამოვარდნილი თვითმფრინავის A320-ის მეორე პილოტის ანდრეას ლიუბიცის საცხოვრებელი ბინა, ეს ის მფრინავია, რომელიც ეჭვმიტანილია თვითმფრინავის მიზანმიმართულ ჩამოგდებაში. ლიუბიცი გერმანიის მოქალაქე იყო და დიუსელდორფის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობდა. ასევე გაჩხრიკეს სახლი ქალაქ მონტაბაურში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. რაიმე ხელჩასაჭიდი მტკიცებულება იპოვა თუ არა პოლიციამ, ამის თაობაზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. პილოტი 28 წლის იყო, ეჭვი, რომ მან მიზანმიმართულად ჩამოაგდო თვითმფრინავი, მას შემდეგ გაჩნდა, რაც ერთ-ერთი "შავი ყუთი" გაშიფრეს. როგორც ფრანგმა პროკურორმა რობენმა განაცხადა, კატასტროფამდე ლიუბიცი კაბინაში მარტო დარჩა და მისი მიზანმიმართული მოქმედებით თვითმფრინავმა სიმღალის დაკარგვა დაიწყო. ხომალდის კაპიტანი, რომელიც, სავარაუდოდ, ტუალეტიდან ბრუნდებოდა, შეეცადა შეეღწია კაბინაში, მაგრამ მეორე პილოტმა ის არ შეუშვა. პროკურორმა რობენმა ასევე განაცხადა, რომ ამჟამინდელი ფაქტების მიხედვით, ლიუბიცს არ ეტყობოდა პანიკა, „შავი ყუთის" ჩანაწერში კარგად ისმის მისი სრულიად მშვიდი სუნთქვა. სამართალდამცავები ტერაქტის ვერსიას საეჭვოდ მიიჩნევენ, თუმცა აპირებენ შეისწავლონ ლიუბიცის მთელი გარემოცვა.

რაც შეეხება მგზავრებს, "შავი ყუთის" ჩანაწერის მიხედვით, მათ უკანასკნელ წუთს გააცნობიერეს, რომ თვითმფრინავი ვარდებოდა. ამ დროს ჩანაწერში ისმის ადამიანთა სასოწარკვეთილი ყვირილი...

ვინ იყო მეორე პილოტი

ავიაკომპანია „ლუფტჰანზას" მართვის ხელმძღვანელმა კარსტენ შპორმა განაცხადა, რომ ლიუბიცმა გაიარა ყველა საჭირო გამოცდა და სპეციალური მომზადება და ის ფრენისთვის 100%-ით შესაფერისი კადრი იყო. ცნობილია, რომ 2008 წელს ლიუბიცი სწავლობდა მფრინავთა სკოლებში ბრემენსა და აშშ-ს შტატ არიზონაში, კერძოდ, ქალაქ ფენიქსში. ცნობილი გახდა, რომ ექვსი წლის წინ ლიუბიცმა შეწყვიტა სწავლა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მოახერხა დაბრუნებოდა ამ საქმეს და წარმატებით გაიარა სამედიცინო

ტესტირება და ავიასანაოსნო მომზადების მთელი კურსი. ის ასრულებდა ბორტგამცილებლის მოვალეობას 2013 წლამდე, სწორედ ამ წელს გახდა ის თვითმფრინავ A320-ზე მეორე პილოტი. მისი ნაცნობები ამბობენ, რომ ის საკუთრი საქმით კმაყოფილი ჩანდა. "ფეისბუქის" მისი გვერდის მიხედვით, ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ ის აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, ჰყავდა მეგობრები, დარბოდა დილაობით და დაინტერესებული იყო პოპმუსიკით. ამ მომენტისთვის მისი პროფილი "ფეისბუქში" აღარ იძებნება. "ის ბედნიერი იყო იმით, რომ "ჯერმანუინგზში" მუშაობდა და გარშემომყოფებზე მუდმივად კარგ შთებეჭდილებას ტოვებდა." - განუცხადა "ასოშეიტედ პრესს" ერთ-ერთი იმ კლუბის წევრმა პეტერ რიუკერმა, სადაც ლიუბიციც დადიოდა. მისივე თქმით, პილოტი, რომელმაც თვითმფრინავი ჩამოაგდო, საკმაოდ მშვიდი და კეთილგანწყობილი ადამიანი ჩანდა. ამავდრულად, მისი ერთ-ერთი მეგობრის თქმით,მან თავის დროზე განათლების მიღება ემოციური აშლილობის სინდრომისა თუ დეპრესიის გამო შეწყვიტა.

მსოფლიოს ისტორიაში გაჩნდა ახალი ჰეროსტრატე - ანდრეას ლიუბიცი, რომელმაც თვითმკვლელობა 2000 მეტრის სიმაღლეზე ისე დაგეგმა, რომ თან მასობრივი სასაკლაოც მოაწყო.

24 მარტის ავიაკატასტროფა მიჩნეულია ევროპაში უმძიმესად მას შემდეგ, რაც შარშან ივლისში უკრაინაში ჩამოაგდეს მალაიზიის ავიაკომპანიის თვითმფრინავი. მაშინ 298 ადამიანი დაიღუპა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ახალი დეტალები იტალიაში გარდაცვლილი ქართველი ქალის შესახებ და მეგობრის სევდიანი წერილი: "ეს საშინელი ისტორიაა, რომელიც იტალიაში იწერება..."

იტალიაში 31 წლის ქართველი გოგონა გარდაიცვალა. ის 26 მარტს გამთენიისას იმ სახლში გარდაიცვალა, რომელშიც მომვლელად მუშაობდა და ცხოვრობდა, - ამის შესახებ იტალიური პრესა იუწყება.

გარდაცვლილის შესახებ ახალი ინფორმაცია მისი მეგობრის, თამუნა კაკაურიძისგან გახდა ცნობილი, რომელიც მეგობარს სოციალურ ქსელ "ფეისბუქზე" ახასიათებს და მის ფოტოსაც აქვეყნებს.

"თბილი... ხალისიანი... ლამაზი... ესეთი იყავი ყველასთან. ამას ყველა ვიხსენებთ დღეს, თუმცა გარდაიცვლება და ყველას კარგად იხსნებებენო, ეგრე არ არის.

იყო შენში რაღაც განსხვავებული და ეს არ იყო შეუმჩნეველი. დამენანე და დაგვენანე ყველას. გუშინ ცოცხალი, დღეს კი უკვე გარდაცვლილი. ვზივარ და რაღაც უაზრობას ვწერ, რაც ალბათ არავის აინტერესებს ჩემი აზრები. როგორც ყოველთვის, ახლაც ცრემლმა ამივსო თვალები... ცრემლმა, რომელიც ძალიან შემეჩვია. ცრემლი, რომელიც მეხმარება ტკივილის გადატანაში და სულ ცოტა ხნით მოშორებაში. დღეს ცრემლი არის ჩვენი ყველაზე ახლო მეგობარი. რატომ? არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ გრძნობს და ვერაფერს ამბობს...

ძალიან დიდი ტკივილი ხარ, თამო. სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა, ლამაზი გოგო. დადებითი აურით, სათნო, კეთილი. დასანანია, რომ ესე ტრაგიკულად ტოვებს სიცოცხლეს... უყურადღებობით, თუ ბედისწერით, 26 მარტს კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტის სიცოცხლე დასრულდა სახელად თამარ ტრაპაიძე...

ვუსამძიმრებ გარდაცვლილის ოჯახს. ეს არა მარტო ოჯახის, არამედ ყველა ემიგრანტის, ყველა ქართველის ტკივილია; საშინელი ისტორიაა, რომელიც იწერება იტალიაში...", - წერს თამარ კაკაურიძე.

იტალიაში, კერძოდ ქალაქ ნეაპოლში საქართველოს მოქალაქე, 31 წლის თამუნა ტრაპაიძე ძლიერი ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალა. ამის შესახებ იტალიური მედია იტყობინება.

გავრცელებული ცნობით, თამუნა ტრაპაიძე ერთ-ერთ მოხუცთან მომვლელად მუშაობდა. ინტოქსიკაციის მიზეზად სახლში კედლების შეღებვა სახელდება.

როგორც იტალიური მედია წერს, მოხუცის მომვლელმა, უამინდობის გამო, შეღებილი ოთახები ვერ გაანიავა, რის გამოც მოინამლა. ექიმთან წასვლა ვერ შეძლო იმის გამო, რომ დოკუმენტები არ ჰქონდა. ამიტომაც სახლის პირობებში გადაწყვიტა, რძე დაელია. წინასწარი ვერსიით, გოგონას მდგომარეობის გაუარესება სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია, რაც ფატალურად დასრულდა.

გოგონა გარდაცვლილი თავად მოხუცმა იპოვა. გამოძიება დაწყებულია. ცხედარი ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

საჩუქრები და წითელი ხალიჩა - სიურპრიზი ქალბატონებს

ქალბატონებისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო ღონისძიება „მარტის თვეა შენი“ ოდნავი დაგვიანებით გაიმართა დედოფლისწყაროს კულტურის სახლში. დარბაზში შესვლა მანდილოსნებს წითელ ხალიჩაზე გავლის შემდეგ უნევდათ, სადაც იების თაიგული და მისალოცი ბარათი ხვდებოდათ. მოულოდნელი სიურპრიზი სასიამოვნო სიახლე აღმოჩნდა სტუმრებისთვის. ღონისძიებაზე ახლადშექმნილი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „აისელების“ დებიუტი შედგა, ბიჭუნათა ანსამბლი სულ ახლახან, მამა პანტელეიმონის ძალისხმევით შეიქმნა.

ღონისძიებაში ადგილობრივი ანსამბლები მონაწილეობდნენ. ვაჟთა ანსამბლი „ხორნაბუჯი“,გოგონათა ანსამბლი „მანდილი“, ბავშვთა ქორეოგრაფიული სახალხო ანსამბლი „შირაქი“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, სოფელ სამთაწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლი, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლის ვაჟთა გუნდი, ვოკალური კვარტეტი, კვინტეტი. ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი - „ბერიკონის“ მსახიობები ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით „საქართველოს ქალები“

დიდი მოწონება და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „აისელები“. ისინი რამოდენიმე კვირის მუშაობის შემდეგ პირველად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. მოგვიანებით კი ადგილობრივი ანსამბლები კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრმა კულტურული ცხოვრების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სიგელებით დააჯილდოვა.

ყოვლადუსამღვდელოესმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ დამსწრე საზოგადოება დალოცა და ქალბატონებს გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა.

მეუფე დიმიტრი: „ხშირად დედას და ქალს გაზაფხულთან და მარტის თვესთან იმიტომ აკავშირებენ, რომ ამ თვეში ცვალებადი ამინდებია, თუმცა მე ცოტა სხვაგვარად ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ ქალი ყველაფრის საწყისია და სწორედ ამიტომ დადგინდა მარტში ქალთა დღესასწაულები. ყველას ვულოცავ ამ დღეს. განსაკუთრებით ამ ლამაზ იებს, რომელთაც საოცარი ელფერი შესძინეს ჩვენს სცენას. თამამად ვიტყოდი, რომ „აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა და მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლებს ღონისძიების მომზადებისთვის.

„მიუხედავად ცუდი ამინდისა და სიცივისა, ამ დარბაზში დღეს იმდენად თბილი ატმოსფერო იყო შექმნილი, როგორიც არასოდეს. ყველა მანდილოსანს მინდა მივულოცო ქალთა დღესასწაულები. განსაკუთრებით ვულოცავ დედაჩემს, რომელიც ვიცი, რომ დარბაზში გვესწრება,“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ცენტრის დირექტორმა, ნონა ჯიბღაშვილმა, სტუმრებს მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადა, ხოლო გაწეული შრომისათვის და კულტურულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დააჯილდოვა მხატვრული კოლექტივები.

„სამთაწყაროში მოქმედი ანსამბლი სიამოვნებით შეუერთდა ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და ჩვენი წვლილი შევიტანეთ, რათა დედოფლისწყაროს მანდილოსნებისთვის მიგვეულოცა გაზაფხულის შემობრძანება. სცენაზეც აღინიშნა, რომ სამთაწყაროში მცხოვრები აჭარლები გენით ცეკვავენ და ამიტომაც იყო ჩვენი გამოსვლა ასეთი ემოციური. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ დაგვაჯილდოვეს სიგელით და ჩვენი შრომა დააფასეს. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ მუშაობას და ვეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებაში და კიდევ დავატკბოთ მაყურებელი,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სამთაწყაროს ანსამბლის ხელმძღვანელმა ნოდარ შაინიძემ.

დარბაზს მაყურებელი კმაყოფილი ტოვებდა, რის შემდეგაც მათმა ნაწილმა „შთაბეჭდილებების წიგნში“ ჩანაწერი დატოვა.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

1მარტიდან ქალაქ დედოფლისწყაროში ფუნქციონირებას იწყებს ინკუბატორი. მიიღება შეკვეთები ნიწილებზე. აგრეთვე შევისყიდით საინკუბაციო კვერცხს ქათმის, ინდაურის, ციცარის, მწყერის და ხოხბის.
მისამართი: კოსტავას ქუჩა N14. შემოსასვლელი პოლიციის, ან ბაზრის მხრიდან, კულტურის სახლის გვერდით.

☎ 579 33 07 41, 555 00 79 16, 598 00 79 16, 557 23 88 99, 571 15 72 86, 790 40 82 15.

ულოცავენ!

ლამარა ბოსტოღანაშვილს!

ძვირფასო დედა, გილოცავთ საიუბილეო თარიღს-დაბადებიდან 80 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მოსვენებულ სიბერეს შენი ოჯახის წევრებთან ერთად.

მუდამ გვეიმედები და გვიყვარხარ.

გფარავდეს ღმერთი!

სიყვარულით და პატივისცემით
შვილები-ბესარიონ და გელა გიგოლაშვილები; სიძე-გოდერძი იორამაშვილი; შვილიშვილი-ელენა იორამაშვილი.

ქეთევან ოზბეთელაშვილს!

პატივცემულო ქეთევან, გილოცავთ შენი შვილიშვილის დათუნა (დაჩის) დიდ წარმატებებს სპორტში.

ვიცოდით,დათუნა მიზანდასახული ბიჭია, ამასთან ერთად კარგად გაზრდილი, თუმცა მისი მშობლების გაზრდილი სხვანაირი არც იქნებოდა. დათუნა ხომ მხოლოდ 18 წლისაა და ამდენი გამარჯვებები მართლაც წარმოუდგენელია. შენთან ერთად ვუერთდებით ამ დიდ სიხარულს, რაც დათუნამ განგაცდევინა.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს სპორტშიც და სწავლაშიც.

პატივისცემით,
შენი შვიდეულის წევრები.

ქეთინო ოზბეთელაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო ქეთევან, გილოცავთ ქორწინებიდან 50 წლისთავს. გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს. ვუერთდებით შენს გულისტკივილს, რომ ნაადრევად დარჩი ცალუელად, მაგრამ ბედნიერი ოჯახი გაქვს, უზრუნველად ცხოვრობ, სადაც გინდა და როგორც გინდა. კარგი შვილების აღმზრდელი დედა ხარ და საპასუხო პატივისცემაც გაქვს მათგან.

ჩვენ 1979 წლიდან სამსახურებრივად ერთად მოვდივართ, დავმეგობრდით ოჯახებით, 35 წელი გავიდა და ისევ ერთად ვართ ჭირსა და ლხინშიც. ძალიან გვიყვარხარ, ჩვენო ერთგულო მეგობარო, გვენატრები, მალე ჩამოდი. ღირსი ხარ კარგი ლექსისაც, მაგრამ მაგის ნიჭი ჩვენიდან მხოლოდ შენა გაქვს.

შენი შვიდეული.

დავით (დაჩი) ოზბეთელაშვილს!

ჩემო პირველო შვილიშვილო, დავით, ჩემო სიამაყევ, გილოცავ იმ დიდ წარმატებებს, რაც შენ გვაჩუქე, 2012 წელს გახდი ევრო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. მიმდინრე წელი შენთვის წარმატებებით დაიწყო, გახდი ქალაქ თბილისის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა ძიუდოში, მერე საქართველოს პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, შემდეგ საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში 100კგ. წონით კატეგორიაში. ეს გამარჯვებები შეძელი მხოლოდ 18 წლის ასაკში. წინ გელის შეხვედრები საბერძნეთში, სერბეთში და სხვაგან.

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს სპორტში და სწავლაში.

ვამაყობ შენით, ჩემო ძვირფასო შვილიშვილო, გკოცნი ბევრს.

შენი ბებო - ქეთევან ოზბეთელაშვილი.

ნაირა გორაშვილს!

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო ნაირა, გვიხარია და გვეამაყება რომ ხარ ჩვენი სისხლი და ხორცი, დგახარ ცნობილი ადამიანების გვერდით ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში „საუკუნის ლეგენდა“ გამარჯვებული. გილოცავთ, გისურვებთ ყველა საქმიანობაში წინსვლას, მხნეობას და ჯანმრთელობას. იმედით ვცოცხლობთ და უფალს ვთხოვთ, რომ ერთმანეთის იმედი არ მოგვიშალოს.

ბიცოლა ნორა; **ძმა** ციხელო, **და** გულნარა, **ბიძაშვილები**: ანგელინა, სპარტაკი, მანანა, თამილა, ლევანი, ალიკა ოჯახებით.

ნონა და ვაჭა ბილიაშვილებს!

გილოცავთ პირველი სიხარულის, პირველი შვილიშვილის ანდრიას დაბადებას. პატარა ანდრია გაიზარდოს ჯანმრთელი, გონიერი და ღონიერი. ვულოცავთ მის მშობლებს ლევანის და დაჯის ბედნიერები ყოფილიყვნენ, გამრავლდნენ და გაიხარონ. თქვენც მრავალჯერ გვენახეთ გახარებულები შთამომავლობის მატებით. უფალი იყოს თქვენთან.

მაღაზია „ათასი წვრილმანის“ თანამშრომლები.

მადლიერება

20 მარტს, დილით, თავი შეუძლოდ ვიგრძენი. ისე, როგორც ყოველთვის, საშველად ჩვენს მეზობელ ექიმ ბაბუცი ჯორკოშვილს დავუძახეთ, რომელიც რამოდენიმე წუთში ჩვენთან გაჩნდა. მას მრავალჯერ უშველია და დაგვხმარებია, რისთვისაც მადლიერი ვარ მისი. ამჯერადაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ სასწრაფოს გამოძახება მაინც გახდა საჭირო. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ექიმ ხათუნა ლაპიაშვილის, ექთან ზაირა მამულაშვილის და მძღოლ თამაზ ლაპიაშვილის შემადგენლობით მალე მოვიდა, გამსინჯა, გამიწია დახმარება და საავადმყოფოში გადაყვანა შემომთავაზა, მაგრამ, ოჯახური მდგომარეობის და იმის გამო, რომ თავს უკეთ ვგრძნობდი, უარი განვაცხადე. თუმცა, შევცდი, რადგან 2-3 საათის შემდეგ ისევ მკვეთრად გაუარესდა ჩემი ჯანმრთელობა - წნევა ისე დამივარდა, რომ გონება დავკარგე. ჩემმა ახლობლებმა ალიკა სანაიანის მანქანით საავადმყოფოში გადამიყვანეს, სადაც თავი არ დაზოგეს ექიმმა ზინაიდა ძელურმა, ექთანმა მანანა გოგაშვილმა, დამხმარემ ნანა ზუბიაშვილმა. მათმა კვალიფიციურმა დახმარებამ დადებითი შედეგი გამოიღო, მე გამოვჯანმრთელდი და ჩემს სახლს დავუბრუნდი. მადლობას ვუხდი მედპერსონალს დროული და თავდაუზოგავი დახმარებისთვის. მადლობა ჩემს ახლობლებს -ჩემს დაზრდილ დისშვილებს ზურაბ, ნელი და თამაზ ქენქაძეებს, მათ ცოლ-შვილს, ქმარ - შვილს, რძალს, დედამთილს, მულს, მულის ქმარს და მულისშვილს, ჩემს მეზობლებს ბაბუცი ჯორკოშვილს, ნანა სეხნიაშვილს, კოლია ელიზბარაშვილს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და არ მიმატოვეს გაჭირვებაში. მადლობა ყველა გულშემატკივარს, რომლებიც გამუდმებით რეკავდნენ და მკითხულობდნენ. 59 წლის ქალი ვარ და ახლა მკაფიოდ დავრწმუნდი, რომ ბედნიერება ფულს და ქონებას კი არა, ადამიანებისგან მიღებულ სიყვარულს და მზრუნველობას მოაქვს.

ლუიზა ზურაშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.03	სამშაბათი 31.03	ოთხშაბათი 01.04	ხუთშაბათი 02.04	პარასკევი 03.04	შაბათი 04.04	კვირა 05.04
დღე	-1 °	2 °	3 °	8 °	10 °	7 °	5 °
ღამე	-2 °	1 °	2 °	7 °	8 °	4 °	3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K